# დ ე კ რ ე ტ ი

## დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობისა.

I. დამფუძნებელი კრების წევრი ხელშეუხებელია.

2. არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი სიტყვით, ხმის მიცემითა ან სხვა გზით გამოსთქვამს თავისი მოვალეობის ასრულების დროს.

3. არც ადმინისტრაციას, არც სასამართლოს და არც სხვა უწყების მოხელეს არა აქვს უფლება პირადად დამფუძნებელი კრების წევრის ან მისი ნივთების გაჩხრეკისა.

4. დამფუძნებელი კრების წევრის ბინა შეიძლება გაჩხრეკილ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს დადგენილებითა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ნებართვით.

5. დამფუძნებელი კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით.

შენიშვნა: უკეთუ დამფუძნებელი კრების წევრს მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს მიასწრებენ, შეიძლება იგი დაპატიმრებულ იქნეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელ კრებას.

6. დაპატიმრებული დამფუძნებელი კრების წევრი უნდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს, უკეთუ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.

7. დამფუძნებელი კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა გადასწყდება დამფუძნებელი კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.

8. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება საქართველოს პარლამენტის I9I9 წლის იანვრის 3I კანონის I, II და I2 მ.მ. ძალით /იხ. "კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული I9I9 წლის მარტის I2 № 5, კან. 37 /. აღნიშნული სასჯელის გადიდებით ორის სარისხით.

9. დეკრეტი ეხე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამ-

საქართველოს ეროვნული არქივი

ფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის მაისის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების

თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი [signature]

საქართველოს რესპუბლიკის მთავ-

რობის თავმჯდომარე [signature]

საქართველოს ეროვნული არქივი